# განცხადება ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შესახებ

Glovo აღიარებს პლატფორმის ყველა მომხმარებლის უფლებას, ჰქონდეთ წვდომა უკანონო დისკრიმინაციისა და შევიწროებისაგან თავისუფალ გარემოზე.

ის, ასევე, აღიარებს, რომ უკანონო დისკრიმინაცია და შევიწროება საფრთხეს უქმნის თანასწორუფლებიანობას. მსგავსი ქმედებები დაუშვებელია და არ შეეფერება პროფესიონალებს, და, ასევე, ეს გავლენას ახდენს პირის ფსიქიკურ, ფიზიკურ და სექსუალურ ჯანმრთელობაზე, ღირსებაზე და მის ოჯახურ და სოციალურ გარემოზე.

ამიტომ, Glovo მზად არის, უზრუნველყოს ძალადობისა და უკანონო დისკრიმინაციისაგან უსაფრთხო გარემო, რომელიც ეფუძნება პლატფორმის ყველა მომხმარებლის პერსონალური მახასიათებლების ან კვალიფიკაციის შემოწმებას. ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად Glovo ცდილობს უზრუნველყოფას და ეფექტიანად ახორციელებს სპეციფიკურ პროცედურებს. შესაბამისად Glovo-ს აქვს ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი სახის უკანონო დისკრიმინაციასა და/ან შევიწროებასთან დაკავშირებით

Glovo გაითვალისწინებს გლოვერების მიერ მოწოდებულ მტკიცებულებას (მაგ., პოლიციის / კომპეტენტური ორგანოს ანგარიშს ან სხვა სახის მყარ მტკიცებულებას), რომელიც ამტკიცებს დისკრიმინაციის ან შევიწროების სიტუაციას, რათა მიიღოს ყველა საჭირო ზომა. უკანონო დისკრიმინაციისა და/ან შევიწროების შესახებ ყველა საჩივარი სერიოზულად აღიქმება და პატივისცემით და ნდობით განიხილება. მსგავსი სახის საჩივრის გამო არავინ არ იქნება შევიწროებული.

ამ პროტოკოლის მიხედვით კონკრეტული გამოკითხვის საშუალებით გლოვერებს შეუძლიათ შეატყობინონ ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რომელიც მოიცავს თავაზიანობის უქონლობას, ძალადობას ან აგრესიას, დისკრიმინაციასა და შევიწროებას, რომელთა განმარტებები მოცემულია ქვემოთ

**თავაზიანობის უქონლობა:** განსაზღვრულია, როგორც არათავაზიანობა, უზრდელობა, უხეშობა, უპატივცემულობა, უმეხობა. პატივისცემის ნაკლებობის გამოხატვა (უპატივცემულობა); ქცევა, რომელიც არის უწესო და შეურაცხმყოფელი (უხეშობა).

**მაგ**.: სულელი, ამის დედაც, სისულელე, ჯანდაბა, ნაგავი, იდიოტი, ჩლუნგი, ძუკნა, ნაბიჭვარი ან მსგავსი.

**ძალადობა და აგრესიულობა:** ქცევა (ქმედებები ან სიტყვები), რომლებიც მიზნად ისახავს ზიანის ან ტკივილის მიყენებას, ან ფიზიკურ საფრთხეს უქმნის პირს. ეს კატეგორია ითვალისწინებს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანიც სხვა პირისთვის ზიანის მიყენებაა.

**მაგ.:** დარტყმა, ხელის კვრა, პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი და ა.შ.

**დისკრიმინაცია:** ხდება მაშინ, როდესაც პირს ან ადამიანთა ჯგუფს ექცევიან ნაკლებად კეთილგანწყობით, ვიდრე სხვა პირს ან ადამიანთა ჯგუფს, მათი პიროვნული მახასიათებლებიდან ან წარმომავლობიდან გამომდინარე, როგორიცაა სქესი (მათშორის, გენდერული იდენტობა და გამოხატვა), ეროვნება, წარმომავლობა, რასა, რელიგია, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და/ან შეხედულება.

**მაგ.:** ჰომოფობიური შეურაცხყოფა, შეურაცხყოფა სქესის მიხედვით, შეურაცხყოფა კანის ფერის მიხედვით, სხვა კულტურების უარყოფა და ა.შ.

**სექსუალური შევიწროება:** სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევა, რომელიც პირს შეურაცხყოფს და თავს დამცირებულად და/ან შეშინებულად აგრძნობინებს. ეს ითვალისწინებს სიტუაციებს, როდესაც ადამიანს დასაქმების პირობად სთხოვენ სექსუალური აქტის შესრულებას, ან სიტუაციებს, რომლებიც ქმნის მტრულ, შემაშინებელ და დამამცირებელ გარემოს.

**მაგ.:** არასასურველი ფიზიკური შეხება, როგორიცაა ხელის დაკვრა, მოჭერა, მოფერება, კოცნა, ჩახუტება, ან შეუსაბამო შეხება; ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობის ჩათვლით; სექსუალური ხასიათის კომენტარები, ამბები ან ხუმრობები; პაემნის ან ფიზიკური სიახლოვის განმეორებითი და არასასურველი შეთავაზება; სექსუალური ხასიათის ჟესტები.

Glovo